პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 12

20/5 წ. "03" 09

ქ.თბილისი

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (ს/კ: 205300048) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ვებ ინტერფეისის დეველოპერი	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040165	75	III	56
2	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040163	85	III	56

3	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარადაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040160	78	III	56

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №4 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე